

# კვირის კალიბრა



№ 31 (442) ◆ 4 - 10 აპრილი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

**ჩხუპის შეფუთვა გაგონ ასლანს**  
**კრემლის კიბეა დაუკავა** ↳ გვ.13

— ბათუმშიც ჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობთ, ციდან ხომ არ ვართ ჩამოფრენილები. შეიძლება მეც მყავდეს ლოთი და ნარკომანი მეგობარი.

მათ შეურაცხყოფა მიაყენეს ადამიანს, რომელიც ჯულია ხოფერიას ახლობელია. ქალბატონი ჯულია კრემლის ექიმის, მირონოვის მეუღლეა და ინციდენტის შემდეგ სწორედ მან დაურეკა ბატონ ასლანს.

**ჯემალ გოგიტიძე**



**ჯაკ-პოტი 300-ლარიანია!**  
საარსებო-გაყოფიერება რეტირები ↳ გვ.35



— ეს ხატი ქართველებს გადაეცით, რომ საქართველოში წაბრძანდეს... როგორც დავით აღმაშენებლის დროს იყო საქართველო, ისეთი გაბრწყინებული იქნებაო — უთქვამს დიდ ქართველ მამას. ↳ გვ.4

ამ ბოლო დროს არაეკლესიური ადამიანები ცდილობენ, შფოთი შემოიტანონ. რაღაც რეკომენდაციებსა და რჩევებს აძლევენ ეკლესიას. ამ ადამიანების უკან სწვა ძალა დგას. გული მტკივა, რომ მტერი, როგორც ადრე, ახლაც თავისი მიზნებისათვის ქართველ ადამიანებს იყენებს.

↳ გვ.12

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საკვირაო ქდავებებიდან.

**საქსსომ ნაილი**  
**„იხ ცნობილი“**  
**ნაილის ავტორებს...**

**ათი კილოგრამი ოქრო**



**დუილის საფასურად?!**

წლების განმავლობაში ასობით კილოგრამი ოქრო სად მიდიოდა, კაცმა არ იცის. ჩვენ კი ხელფასებს ძლივს ვვადგენდნენ... თუმცა რაღაც სად მიდიოდა — რუსეთში იგზავნებოდა, იქ ოქროს მაფიაა, ინგლისში კი ხალხის თვალის ასახვევად რკინის ნაჭრებს აგზავნიდნენ.

↳ გვ.6

**ვის ანგარიშზე ირიცხებოდა ქართული ოქროს რეალიზაციით მიღებული თანხები?**

**რაგონი გაქვირდა**  
**მოქარული მანქანების**  
**„პაზირაბი“**



რა ღირს პულგი, რომელიც ყველა მანქანას ადებს?!

სომხეთში თბილისიდან გადაყვანილ მანქანებზე დიდი მოთხოვნაა...

↳ გვ.5,11

რა შეიძლება დაერქვას მირცხულავას ინიციატივითა და მაქინაციებით ნინოწმინდის ხაზის გაყვანას და ამ რაიონის ჩართვას ავტონომიურ რეჟიმში „არმენენგოსთან“? ანალოგიური რამ მოხდა აფხაზეთშიც, „სალხინოს“ შემგვობით აფხაზეთი დღეს რუსეთის ერთიან ენერგოსისტემაშია ჩართული და თბილისს ეს არ ადარდებს — გაითვალისწინეთ, რომ ორივე შემთხვევაში ხარჯები საქართველომ გაიღო.

**ირაკლი ჩუბინიშვილი**



↳ გვ.3

**სამხედრო თემაზე:** ↳ გვ.9  
**ქართველები უკვე პრაყუი არიან**

**„გაივანჩიკი“ დედაკუსთოს დაუბრუნდა**

ამერიკელებს ძალიან სურდათ, ტაივანჩიკი ამერიკის ციხეში იაპონიკისთვის გვერდით მიესვათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ...

↳ გვ.27

ბერლუსკონი, იოსიფ კობზონი და მილანის ფეხბურთელი შეეჩერკო სხვაგვარად ფიქრობდნენ.

მოსკოვში დაბრუნებული რუსული მაფიის დიდი ავტორიტეტი, ალიკ ტოხტახუნოვი, სასტუმრო „მეტროპოლის“ მდიდრულ ნომერში ცხოვრობს და სევდანარევი იუმორით იხსენებს იტალიის ციხეს.

**რუსული პრესის მიხედვით**



**პრაქტიკაში სახელისუფლებო გლოუს სექტორში დაბრუნება?**

**„ევროპაში ბელურა აღარ დაფრინავს, ჩვენთან კი მშვენიერად შეიძლება ნადირობა“**

ტარიფის განუწყვეტელი ზრდა ეკონომიკასაც აზარალებს, პროდუქციის თვითღირებულებას ზემოთ სწევს. საკონტროლო პაკეტის მფლობელი ისე გაზრდის ტარიფს, პროდუქციას იაფად ვეღარ გაყავი. დენის ჩართვა-გამორთვით მოსახლეობის ფსიქოლოგიური დამონებაც არის შესაძლებელი.

↳ გვ.7



**კურსია** **ცხიდან „მოპირეჩით“**  
**გაცაცუბული აქამიანები...**

ხელმოცარულმა ბანდის წევრებმა მეორე დღესვე შეარჩიეს მორიგი მსხვერპლი და გიგას აცნობეს, პარლამენტის თანამშრომლის, სულიკო ბერბიჭაშვილის გაუს, გურამს გაეიტაცებო. ბოსმა ჩანაფიქრი მოუწონა ხელკეცილებს და მოვლენების განვითარებას დაელოდა... ბუნებრივია, ისევ ტელეფონით.

↳ გვ.10

**თქვენ გაემოვნებინანი გკითხველი გრკანდებით!**













28 ივლისს, რესპუბლიკის მოედანზე, საქართველოს უმაღლესმა მთავარსარდალმა, საზეიმო ვითარებაში მიულოცა დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემიის ორსამდე კურსანტს სასწავლებლის დაბრუნება და ოფიცრის საპატიო წოდების მინიჭება.

მანამდე, რამდენიმე საათით ადრე, ამ სახელოვანი აკადემიის ტერიტორიაზე, მორიგი სამარცხვინო ფაქტი მოხდა: მეორე სართულის ერთ-ერთი ოთახიდან, კერძოდ, პრორექტორის კაბინეტიდან, მოიპარეს კომპიუტერული ტექნიკა. მაგრამ ყველაზე სამარცხვინო მინიჭების გარემოება გახლავთ, რომ ქურდობის მომენტში აკადემიის ტერიტორიაზე იმყოფებოდა თითქმის ყველა კურსანტი და ოფიცერი.

სავარაუდოდ, ქურდობა უნდა მომხდარიყო 27 ივლისის ღამეს ან 28 ივლისს, გამთენიისას.



ეს თავდაცვის ეროვნული აკადემიის თურქი პრორექტორის აპარტამენტის ის ფანჯარაა, რომლის გისოსებიც ქურდებმა გადახერხეს და კომპიუტერები მოიპარეს.

უქმე დღეებში აკადემიის პირადი შემადგენლობის უდიდეს ნაწილს შინ უშეგებენ, მაგრამ საზეიმო აღლუმისთვის უკეთ მომზადების მოტივით, კურსანტები და ოფიცრები აკადემიაში დარჩნენ.

თავდაცვის ეროვნული აკადემიის პრორექტორის, თურქი პოლკოვნიკის, შასან ბასრი ასლანის აპარტამენტიდან (რომელიც აერთიანებს მისალეს, მდივნის ოთახს, კაბინეტსა და მოსასვენებელ ოთახს) მოიპარეს ორი კომპიუტერი „პენტიუმ-4“, თითო-თითო პრინტერი, DVD პლიერი, ვიდეომანტიტოფონი, ფაქსი, დენის მუდმივი წყარო, მაგიდის საათი, კომპიუტერის ვიდეოკამერა, ორი პულტი და პოლკ-

# მოავალი ოჯისკები თავის თავს კვარკვენ?

## თავდაცვის ეროვნული აკადემიის თურქ პრორექტორს ბოტასებიც კი მოკვარეს...



მაშინ, როდესაც კურსანტები ოფიცრის საპატიო წოდებაზე ფიცს დებდნენ, ვიღაც მათ კომპიუტერებს იპარავდა

**ჩვენი დონი:** მარტო წელს თავდაცვის ეროვნული აკადემია სუთვერ გაიქურდა, ბოლო შემთხვევა მეხუთე გახლდათ. მანამდე კი:

1. 28 თებერვალი. აკადემიის პირველი პოლკის შენობიდან მოიპარეს ორი კომპიუტერი.
2. 17 მარტი. გაიძარცვა აკადემიის პირველი პოლკის შენობაში სამედიცინო ოთახი. მოიპარეს 2 ვენტელატორი, 1 წნევის აპარატი, თეთრეულის 3 კომპლექტი.
3. 6 აპრილი. აკადემიიდან მოიპარეს ორი კომპიუტერი.
4. 24 აპრილი. შემონდა აკადემიის საგარეულო ოთახში არსებული საბრძოლო მასალების ყუთი. აღმოჩნდა დანაკლისი — პისტოლეტ „მაკაროვის“ 9 მმ კალიბრის 16 საბრძოლო ვაზნა და 4 ხელყუმბარა.

ოვნიკის პირადი ნივთები (სპორტული ჩანთა და ბოტასებიც კი!). მოპარული ნივთების ღირებულება, თურქი სამხედროების ანგარიშით, 10 ათასი დოლარია.

პრორექტორის აპარტამენტების სამი ფანჯარა დავით აღმაშენებლის გამზირს გადაჰყურებს, მაგრამ ქურდობა მოხდა აკადემიის შიდა ეზოში გამავალი ერთადერთი ფანჯრიდან, რაც აძლიერებს ვეჭვს, რომ ამ ძარცვაში „შინაურთა“ ხელი ურევია.

ფანჯრის გისოსები გადახერხილია და ქურდებმაც, ეტყობა, აქედან გაიტანეს ნაპარცვი, ხოლო მეორე სართულიდან ჩამოსასვლელად შეიძლება ის კიბე გამოიყენეს, რომელიც მომორებით მშენებლებს ჰქონდათ მიყუდებული.

აკადემიაში წელს მომხდარი არც ერთი ქურდობა არ გახსნილა. უკანასკნელ ძარცვას ძალზე საინტერესო გარემოება ჰქონდა.

გვესაუბრება საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი გამომძიებელი, ბატონი ალექსანდრე ჩერქეზიშვილი:

— 28 ივლისს, დილით, როგორც კი შემატყობინეს ქურდობის ამბავი, მაშინვე აკადემიის მივამურე. თავიდან მოკვლევას ისიც აძინებდა, რომ თითქმის მთელი პირადი შემადგენლობა საზეიმო აღლუმზე იყო რესპუბლიკის მოედანზე; მაგრამ მინც შევვლით საინტერესო დეტალების მოძიება, რომელმაც გარკვეულ კვალზე დაგვაყენა. გარდა ამისა,

ფსიქოლოგიურ ხერხსაც მივმართეთ — აღლუმიდან დაბრუნებულ პირად შემადგენლობაში „გაფრთხილ“ ხმები, რომ თურქი პოლკოვნიკის აპარტამენტის გაძარცვას ჩვეულებრივი ქურდობის გარდა, შესაძლოა გარკვეული პოლიტიკური ელფერიც მისცემოდა და ავლობებდა, ქურდს ნაქურდალი დაებრუნებინა.

იქნებ დაუფრებლადაც მოგვეწვინოთ, მაგრამ ექსპერიმენტმა გაჭრა. სამშაბათს, 29 ივლისს, უთენია, თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, „ნდობის ტელეფონზე“ დარეკა უცნობმა და განაცხადა, რომ მოპარულ ნივთებს თბილისი-რუსთავის გზატკეცილზე, ფერმებთან იპოვიეთ. გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა მინიშნებულ ადგილზე მართლაც აღმოაჩინეს ნაპარავი და ეჭმიტანილების შესაძლო გამოვლენის მიზნით, მცირე ხნით ჩასაფრდნენ კიდევ, მაგრამ ნივთებს აღარავინ მიჰკარებია (სხვათა შორის, თავდაცვის სამინისტროში მეხუთე თვეა შეიქმნა გენერალური ინსპექციის სამსახური, მაგრამ უკვე ძალზე საინტერესო ფაქტების გახსნა დაიწყო. ეს კი მიუთითებს სამინისტროს შიგნით არსებული კორუფციის ფაქტებზე).

დიდ თურქულ სავაჭრო ჩანთაში მოთავსებული ნაქურდალი ნივთები დღეს თავდაცვის სამინისტროს კრიმინალისტიკურ სამსახურში ექსპერტიზაზეა. ძნელი სათქმელია, აღმოაჩინოს თუ არა ექსპერტიზა მათზე აკადემიისთვის „ნაცნობ“ თითების ანაბეჭდს. ამ შემთხვევითი ტენდენციის კომენტარი თავდაცვის ეროვნული აკადემიის ახალდანიშნულ რექტორს, პოლკოვნიკ ბიურბი გობაშვილს ვთხოვეთ:

— თქვენ გამოირცხვით, რომ ამ ქურდობაში შეიძლება აკადემიის წარმომადგენლები იყვნენ გარეულნი?

— ამის ბოლომდე გამოირცხვა შეუძლებელია, თუმცა გამოძიების დამთავრებამდე უფლება არა მაქვს, ვინმეს ხელი დავადო.

— ხომ არ იყო რიამე კავშირი ქურდობის მომენტსა და საზეიმო აღლუმს შორის, რომელსაც ქვეყნის უმაღლესი პირები ესწრებოდნენ?

— არ მგონია. ეს არ არის „პოლიტიკური“ ქურდობა, ჩვეულებრივი ძარცვაა.

ქურდობა და უფრო დიდი მასშტაბისა, არც ისე უცხოა როგორც ქვეყნის მაღალსახელისუფლებო ემელონებში მოკალათებული ბევრი ჩინოსნის, ისე მაღალჩინოსანი სამხედროებისთვის და ისინი, ბუნებრივია, ბევრად მეტ ზარალს აყენებენ ქვეყანას, მაგრამ შემთხვევითი ის არის, რომ ქურდობა მოხდა იმ ადგილას, სადაც ქვეყნის დამცველები იზრდებიან. როგორ უნდა დაიცვან მათ სახელმწიფო, თუკი საკუთარი შენობებიდან ყოველთვიურად დღეს ასე საჭირო ინვენტარს იპარავენ?













სამ თვეში არჩენვები და პოლიტიკა უკვე იქცა დიდ რინგად, რომელზეც მოასპარეზებოდა ათასგვარი ტრიუკისა და კასკადორული ხელოვნების გამოვლენას უთუოდ და მოუთმენლად ველით. ასეა — დამშეული პენსიონერების ქვეყანაში, სადაც პური გაძვირდა, ყველაზე დიდ ფუფუნებად სანახაობა იქცა.

ამ სანახაობა-ასპარეზობაზე (ანუ არჩენვებზე), როგორც წესი, ხალხს მხოლოდ და მხოლოდ მაყურებლის შემფასებლის მისია გვაკისრია. ჩვენს ხმას, ყიფინას და შეძახილს ბევრი შეუძლია — მოპავერეთა გამხნეებაც და გამარჯვებულის გამოვლენაც. რაკი იციან, კარგი გულშემატივარი ნახევარი გამარჯვებაა, მაყურებლის გულის მოსაგებად ახლა გამოიღეს ხელი მოასპარეზე-პოლიტიკოსებმაც და ბრძოლის წინ გვეყვალვებიან.


ტატამზე, რომელზეც „საქართველოს პირველობისთვის“ გამარჯვებული უნდა გამოვლინდეს, ჯერჯერობით, მხოლოდ პატარა პატარა ბრძოლებია, რომელთა ფონზე ყველაზე შთამბეჭდავად აბაშიძე-შევარდნაძის პაექრობა მოჩანს. გამოცდილი მებრძოლები ისევე ძველ ხერხსა და მეთოდს მიმართავენ — შორ დისტანციაზე პაექრობენ. გამარჯვების ფორმულა მარტივია — კონკურენტს იმაზე მეტი უნდა ეჩვენო, ვიდრე სინამდვილეში ხარ. ამ ილუზიის შესაქმნელად კი დისტანცია (როცა ყველაფერს გარკვევით ვერ ხედავ) ყველაზე კარგი საშუალებაა.

დისტანციიდან ძალის ჩვენება პირველად აბაშიძემ სცადა და შევარდნაძემ შეუთვალა — შენი საქურისი აღმასრულებლები საუკეთესო ქალების გარემოცვაში იმყოფებიან, მაგრამ სურვილის მიუხედავად, მათი დაკ-

მაყოფილება არ ძალუძთ და მერე საკუთარ ცვედანებს დაერიცხები — მთელი მინისტრთა საბჭო დაითხოვა. საბაბი ბიუჯეტი გახდა, რომელიც აჭარამიც და თბილისშიც მალაჩინოსნებს დღემდე რატომღაც საკუთარი ჯიბის ფული ჰგონიათ. როგორც წესი, საბაბს ყოველთვის მიზეზი განაპირობებს, მიზეზს კი მიზანი, რომელიც ყველა მოვლენისა და ცვლილების საფუძველია.

ამბობენ, ამ მანევრით ასლან აბაშიძეს ყველაზე მეტად ძალაუფლების შემცირებელთა გაუფლებელიყოფა ჰქონდა განზრახულიო. ისიც ითქვა, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, აჭარის ლიდერი საკუთარ სანათესავოს დაუპირისპირდა, ალარავის ენდობა და თავის ვაჟსაც აღარ სწყალობსო. არადა, საკუთარ მეგვიდრებზე აბაშიძე დიდ იმედს ამყარებდა და ერთხელ დაუფარავადაც თქვა — აბაშიძეები ოდითგანვე მართავდნენ აჭარას და ჩემ შემდეგ ამ მიმეტივრის ზიდვა გიორგის მოუწევსო. როგორც ჩანს, გიორგი აბაშიძე მშობლის იმედს, ჯერჯერობით, ვერ ამართლებს. როგორც ამბობენ, ცუდმა მეგობრებმა მასზე ცუდი გაველენა მოახდინეს და აჭარის ლიდერმა ცუდი მაგალითის მიმცემი სათანადოდ დასაჯა — ისინი ციხეში მოხვდნენ. დასჯის საბაბად კი ერთი შემთხვევა იქცა. ბათუმის მერის მეგობრებს, აჭარაში თურმე ჩხუბისთავ ნარკომანებად იცნობენ. რამდენიმე კვირის წინ ბათუმში ინციდენტი მოხდა, დაუნდობლად სცემეს ბათუმელი ბიზნესმენის, პატარაიას ვაჟი. მომხდართან დაკავშირებით ბატონ ასლანს მოსკოვიდან დაურევს და შესაბამისი რეაგირება სთხოვეს.

**ჯიშაღ ზოგიტიპა:** — ბათუმშიც ჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობთ, ცი-



**ჩხუბის პედაგოგონ ასლანს კეპლის ჰეიგა ღაუკია**

დან ხომ არ ვართ ჩამოფრენილები. შეიძლება მეც მყავდეს ლოთი და ნარკომანი მეგობარი. გიორგის მეგობრებს ჩხუბი მოუხდათ (ამ ინციდენტში ჩარეული იყო ლევან კობალაძე, აჭარის საბაბოს ერთ-ერთი პასუხისმგებელი თანამშრომელი), მათ შეურაცხყოფა მიაყენეს ადამიანს, რომელიც ჯულია ხოფერიას ასლობელია. ქალბატონი ჯულია კრემლის ექიმის, მირონოვის მეუღლეა და ინციდენტის შემდეგ სწორედ მან დაურეკა ბატონ ასლანს. გიორგის მეგობრები წინასწარ პატიმრობაში არიან, მერე ალბათ სამ თვესაც მისცემენ და მეტსაც. რაც დააშავეს, იმის შესაბამის სასჯელს მიიღებენ და ამით

დამთავრდება ყველაფერი. როგორი მეგობრები იყვნენ, როცა მისი სახელით ბოროტად სარგებლობდნენ?.. ასლან აბაშიძე ქვეყნის ინტერესების იგნორირებას საკუთარ შვილსაც არ აპატიებს. შევარდნაძის შვილის მეგობრები განაგებენ მთელ საქართველოში კონტრაბანდას, ნარკომანობაზე ალარაფერს ვამბობ და გინახავთ რომელიმე დასჯილი?.. ასლან აბაშიძე შვილებს ზედმეტად არასოდეს ანებივრებდა, მაგრამ ბოლო დროს გიორგის მიმართ განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენს. ასლან აბაშიძესთან დაახლოებული ნყაროს ცნობით, მის მეუღლეს, მაგული გოგიტიძეს შვილის მი-

დრეკილებები და ცუდი მეგობრები მეტისმეტად აწუხებდა. თურმე ხშირად ჰქონდა ვაჟთან ამის გამო კონფლიქტი, რომელსაც ხშირად მამის ჩაურევლადაც აგვარებდა.

**ბატონო ჯემალ, ამბობენ, ქალბატონ მაგულის გულიც აწუხებდაო.**

— იმ დღეს, როდესაც ქ-ნი მაგული გარდაიცვალა, საღამოს 6 საათზე დავეშვიდობე ბატონ ასლანს და თბილისში წამოვედი. მისი მეუღლე რომ მიმივდ ყოველიყო, თბილისში წასვლას არც ვიფიქრებდი, მაგრამ გზაში დამირეკეს, ქალბატონი მაგული გარდაიცვალაო. ადრე ბატონმა ასლანმა მითხრა, მაგულიმ ინფარქტი გადაიტანა, მაგრამ ექიმებმა დროულად ვერ გაიგეს. ამიტომ შიშობენ, შესაძლოა გულმა უმტყუნოს, ინფარქტი აღმოჩნდეს მისთვის სასიკვდილო და არა პანკრეატიტი (სისისივე არ ჰქონია). ერთ-ერთმა მკურნალმა ქალბატონ მაგულის წამლის

პროვოკაციის, ბოროტებისა და ბოლმის შემდეგ, რაც მათი ოჯახის მისამართით იფრქვეოდა — ხან სეპარატისტებად ნათლავდნენ, ხან შვილებს ულანძლავდნენ, ხანაც მათ სიძეზე ავრცელებდნენ ჭოროს. რამდენიმე წლის წინ იტალიაში ვიყავით სტუმრად. ბატონი ასლანის სიძე მარკო კანისტრარე დიდიდან საღამომდე ჩვენთან იყო. მთელი იტალია მოგვატარა, საჭესთან თვითონ იჯდა. თავმდაბალი ახალგაზრდაა, ჩვენს ბარგს ეზიდებოდა, თავს გვევლებოდა და სწორედ ამ დროს გავეცელდა ხმა, — ასლან აბაშიძეს სიძემ 130 მილიონი მოპპარა და აბაშიძის უახლოესი გარემოცვა მას მთელ ევროპაში დაეძებესო. მერე თქვეს — ასლან აბაშიძე მთელ კავკასიას აკონტროლებს, თავისი მფავი რომ გაეძლიერებინა, იტალიელებს დაუკავშირდა და დაინათესავა, ახლა მისი მთავარი მოკავშირე და ნათესავი იტალიის მფავის ერთ-ერთი ბოსი რიკარდო კანისტრარეაო.

**რამდენიმე წლის წინ იტალიაში ვიყავით სტუმრად. ბატონი ასლანის სიძე მარკო კანისტრარე დიდიდან საღამომდე ჩვენთან იყო. მთელი იტალია მოგვატარა, საჭესთან თვითონ იჯდა. თავმდაბალი ახალგაზრდაა, ჩვენს ბარგს ეზიდებოდა, თავს გვევლებოდა და სწორედ ამ დროს გავეცელდა ხმა, — ასლან აბაშიძეს სიძემ 130 მილიონი მოპპარა და აბაშიძის უახლოესი გარემოცვა მას მთელ ევროპაში დაეძებესო.**

დოზა გაუზარდა. ვარაუდობენ, რომ ამის გამო განუვითარდა მას თრომბოზი. ასე რომ, ძნელია თქმა, თრომბოსის გამო გარდაიცვალა იგი თუ სტრესის გამო... თუმცა რა გასაკვირია მისი ავადმყოფობა, იმდენი საშინელი

რიკარდო კანისტრარე კი, მისი შვილიშვილი, ამ დროს 4 დღის გახლდათ — ასეთი ბრალდებები, ბუნებრივია, იმოქმედებდა მგრძობიარე ქალის ჯანმრთელობაზე...

მარი ზანდუელი

Large advertisement for 'საქართველო' (Georgia) featuring a landscape image and decorative elements. The text is mostly illegible due to low resolution.





ქვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმარებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

**პატარები გვინოსებენ**



**5 წლის ტატო ზაკალაშვილი** ბებო გააბრაზა. ბებო წვეპლთ გამოეკიდა, ტატომ მოანრო ხეზე აძრომა და ბებოს ჩამოსძახა: — ბე, ბოდიშს გისდი, მეტს აღარ გაგაბრაზებ. ჩამოვალ და წვეპლა არ დამარტყაო.


ბებომ ასძახა, — მაინც დაგარტყამო. — ეჰ, ბე, რა უპატიო ქალი ხარო (ე.ი. პატიება არ იცო).

საპირიკმახეროდან გამოსული თავხოტორა **პატარა ლერიკო ძალაგანიძე** კმაყოფილებას ვერ მალავს: — რა კარგია, თმები არ მაქვს დასავარცხნი!

**პატარა ნიკა ჩიჩილაშვილი** მაინახა, რომ ბებიამისი თევზს ქერცლს აცლიდა და ჰკითხა: — ბებო, რატომ ხდი თევზს ტანსაცემელს?

**6 წლის გიორგი ილურიძე** მასწავლებელმა გამოიძახა: — აბა, მიპოვე ციფრი — 7. გიორგიმ ექება, ექება შედიანი და რომ ვერ იპოვა, გულმოსულმა წამოიძახა: — ოხ, მაინც საიდან იგონებთ ეგეთ რამეებს, ჰაა!..

შეიგანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახაგის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერგიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „არის ცხოველი ქცევია, განზე ეკალი აცვია“.



**მლაპარი** **ეშმაკე ეშმაკი კუძღული**

კურდღელმა ჯუნგლის ყველა მხეცს აჯობა ეშმაკობით და გადაწყვიტა, ახლა ადამიანს გასჯიბებოდა. ადგა ერთხელ, შეიპარა სოფელში, ჩასკუბდა ერთ მყუდრო ადგილას და დაიწყო აქეთ-იქით ყურება. იყურა, იყურა და გზაზე ერთი დედაბერი დაინახა, ბანანით სავსე კალათა შეეძგა თავზე და მოჰქონდა. კურდღელი მაშინვე შუა გზაზე გაიშლართა და თავი მოიკვდარუნა. დედაბერმა იფიქრა, შესანავად მაინც ივარგებსო, აიღო და ბანანით სავსე კალათაში ჩადო.

მერე, გლეხები რომ მიუახლოვდნენ, ყვირილი ატყვა: — მიშველეთ, ვისრჩობი! მიშველეთ, ვისრჩობიო!.. ხალხი იყურებოდა და იყურებოდა ჭაში, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. ბოლოს ზოგმა თქვა, დაიხრჩობოდაო და სოფელში წავიდა, ზოგმაც: წყალი უნდა შევამომწოთ, დასახრჩობად საკმარისი დგას თუ არაო.

კურდღელმა კი ჯერ მუქთად ისეირნა კალათით, მერე ბანანს მოუღიხინა, მერე — ისკუბა და, გიყვარდეს, მოკურცხლა.

გლეხებმა ერთ ბიჭს სოფლიდან გრძელი თოკი მოატანინეს და ჭაში ჩაუშვეს. კურდღელი მისდაგა ჩუმ-ჩუმად და ჭაში ჩაშვებულ თოკი აახვია.

— ე-ე, რა ღრმა ყოფილა! — წამოიძახეს სიღრმის მზომელებმა. — რამსიგრძე თოკია და მაინც ვერ ვუნვით ფსკერს. აბა, ახლა ვნახოთ, წყალი თუ არის საკმარისი დასახრჩობად. თოკი უკან ამოწიეთო!

კურდღელმა სწრაფად მოლოკა დახვეული თოკი და ნერწყვით დაასველა. თოკი რომ ამოიღეს და სველი ნახეს, გლეხებმა დაასკვნეს, წყალი საკმარისი ყოფილაო და წავიდნამოვიდნენ. წავიდა თუ არა ხალხი, კურდღელი ამოხტა ჭიდან და გაიქცა.

იმ დღის შემდეგ ეს კურდღელი უფრო გათამამდა და სულ იმაზე ფიქრობდა, კიდეც და კიდეც როგორ მოეტყუებინა სულელი ადამიანები.

ერთხელ გზაზე მოხუცი კაცი დაინახა, მხარზე ბანანით სავსე კალათი შემოედგა და მიდიოდა. ერთი ძველებური ხერხი ათ ახლებურს აჯობებსო, — გაიფიქრა ეშმაკმა კურდღელმა, განვა გზაზე და თავი მოიკვდარუნა.

მაგრამ მოხუცებული ჭკვიანი კაცი აღმოჩნდა და ხელად მიხვდა ყველაფერს. — ერიპა! აქ, მგონი, მკვდარი კურდღელი გდია! რაკი ასეა, ნურც ნურასოდეს წამომდგარაო, — ჩილიაპარავა, ყურებში ხელი ჩაავლო და ცემა დაუპირა.




დაასახელე ცხოველები სიდიდის მიხედვით: ყველაზე დიდები და ყველაზე პატარამდე.

კურდღელს შეეშინდა, იფიქრა, ამდენჯერ მოვატყუე ადამიანები და ახლა ეს კაცი ერთიანად იყრის ჩემზე ჯავრსო და მოხუცს შეეხვეწა: გეშუდარები, გამიშვი და პირობას გაძლე მთელ თქვენს მოდგმას აღარასოდეს ვანყენინებო.



მოხუცმაც შეიბრალა კურდღელი, დაუჯერა და გაუშვა. კურდღელმა პირობა შეასრულა და მას შემდეგ არავინ მოუტყუებია.

**იპოვე 10 განსხვავება**



**I ანა, გამოიცანი**

- 1) რომელი არ იყო მსატყუარი?**  
 ა) ქეთევან მაღალაშვილი; ბ) ლადო გუდიაშვილი; გ) დავით კაკაბაძე; დ) ილია ვეჟუა.
- 2) რა შეარქვა ხალხმა მეფე დემეტრე II-ს?**  
 ა) თავდადებული; ბ) თავდაჭერილი; გ) თავდაუზოგავი; დ) თავაშვებული.
- 3) რომელ ზღვაში ჩედინება მდინარე რიონი?**  
 ა) კარიბის ზღვაში; ბ) კასპიის ზღვაში; გ) შავ ზღვაში; დ) ხმელთაშუა ზღვაში.
- 4) რომელი ქვეყანა ითვლება რაგბის სამშობლოდ?**  
 ა) ინგლისი; ბ) ავსტრალია; გ) სამხრეთ აფრიკა; დ) ახალი ზელანდია.
- 5) რომელმა მეფემ მოჰკვეთა თავი იოანე ნათლისმცემელს?**  
 ა) დავითმა; ბ) ჰეროდემ; გ) სოლომონმა; დ) საულმა.
- 6) ცნობილ ფიზიკოსს, ისაკ ნიუტონს რა ადევდა თავზე ხს ქვევადლობას?**  
 ა) მსხალი; ბ) კომში; გ) აგური; დ) ვაშლი.




**III** ცომის საჭრელი ორი — მრგვალი და ოთხკუთხედი ფორმის ლითონის ფიგურებით შევიძლია გამოვაცხოთ სხვადასხვაგვარი ორცხობილა. თუმცა სურათზე არის „არასწორი“ ორცხობილა, რომელიც ვერ მიიღება ამ გზით. გამოიცანი, რომელია?

**ენის ვასაცხი**

- შარიანი შარისათვის შარს დაეძებს შარა-შარა.
- ქრიჭინა საჭრიჭინებელში ჩაჭრიჭინებულია.
- ასიაო, ბასიაო, სუმბულს ოქრო ასხიაო.

**II** გამოიცანი, რომელი ნაწილი აკლია მოზაიკას

მდინარე	საქართველოში	გარეული ცხოველი	იგოგია, რაც უნაკლო	ნელინადის ყველაზე დრო	ციფრი	ძაღლის ხმაინა
შეფხვა მწვერი	ადრეს ანტონიმი	ნახატი, მტკიცე ქსოვილი	ხანმოკლე შერეობა მეტყველების დროს	ერთ ჯერზე მისაღები წამლის რაოდენობა	დიდი გოგრა	ქვინი ნაპირი ნოტი



**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**  
 გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა









„თავისუფალი ბელჯიკია“ სეპარტივალური არ არსებობს

„მათი, ვინც, მუდმივ, რომელი მითითებით“ არც ერთ... თავისუფალი ბელჯიკია არსებობს... თავისუფალი ბელჯიკია არსებობს... თავისუფალი ბელჯიკია არსებობს...

Column of numbered headers (1-10) for weekly news items.

1-10: Weekly news items covering various topics like local events, sports, and community news.

Column of numbered headers (11-20) for weekly news items.

11-20: Weekly news items, including articles about international relations and local politics.

Column of numbered headers (21-30) for weekly news items.

Advertisement for 'ქართული და უცხოური' (Georgian and Foreign) featuring a cartoon and contact information.

ჩვენი პერიოდი 4-10 აპრილი, 2003



თუ უახლესი მოვლათ სამართლებრივი არჩევნების მართობინ... ჩვენი პერიოდი 4-10 აპრილი, 2003... თუ უახლესი მოვლათ სამართლებრივი არჩევნების მართობინ...

11-20: Weekly news items, including articles about international relations and local politics.

21-30: Weekly news items, including articles about international relations and local politics.

31: Final news item on the page.





ფერების შესაძლებლობაში

ინდიელთა ტკბილი კარტოფილი

ძვირფასი ქვა

ქეთევან ბაგრატიონ-სასროლეთი

დებეტივი „ოქროს ხოჭო“ (ავტორი)

ბედისწერას შეგუებული

რუსი მომღერალი დახრილი კოშკი

თბილისის ძველი უბანი

პოლონელი ქალი

ანდრეა დელ ბოკა არგენტ-სერიალში

ლორდა პალატის მემკვიდრე წვერი

ჭამის სურვილი

ლავონკინის თვითმფრინ. მარკა

ნუკოვსკის ზღაპრული ვეტერინარი

ვაფი, ვაფიშვილი

ანგელოზთა ადგილსამყოფელი

„მოწვევა“ (მსახიობი)

ნაბოკოვის რომანი

კომპიუტერის „საქალაქე“

საოჯახო ნივთი

მსოფლმშველთა დირიჟაბი პრინციპი

ხეივანი მცენარე

ქალღმერთ ათენას ერთ-ერთი ეპითეტი

მაუგლის მეგობარი

„ჯეოსელი“ საკრედიტო ბარათი

სპორტული შეჯიბრი

უამღლდონის საუბრული ტურნირში გამარჯვებული

შედი მოჭარაკე ქალი. - კრამლიანი

მზის ღმერთი ძვ. ეგვიპტეში

თოფაქს იგი ცივი უგვარს

გაბტანგ გორგასლის ძე

ნუკურთმანი ქვა ბროშში

მშები ხერხეულიძეების რაოდენობა

სარწმუნოება

წილი სართო საყმში

ნამონათვალი

აზარტული თამაში ბანკოთი

კუნძ. ტი-რენეს ზღვაში დათქმული შეხვედრა

თამაში, ანუ ... ლაპარაკი გერმანელი მწერალი

ამერიკელი ფიზიკოსი მაზერის შემქმნელი

კულკანი სიცილიაზე

ალექს. ქურთის ფსევდონიმი

მდინარე დასავლეთ ვახაზეთში

ქალაქი ფრანგულ რივიერაზე

დინასტია კორეაში

„ილიადა“ (ჟანრი)

მ. დემონი ფილმში „ჭკვიანი მისტერ ...“

ცხენის კუდი „ჭრიჭინა“ ... აბაშიძე

ქალაქი

სახაზავი დაფა

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ტრამპლინი

ტრიონომ. ფუნქცია განყოფილება ვაგონში

თმის ბუნებრივი საღებავი

ადამიანის სადგომი

ინკების სახელმწიფო

**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. ატომი; 2. ბატისტი; 3. სტატია; 4. სტარტი; 5. ბენდერი; 6. ომი; 7. ტაპი; 8. რამა; 9. ლოტი; 10. „ქრისტინე“; 11. იო; 12. პი; 13. კანაფი; 14. სტატისტი; 15. ტიბრი; 16. ტვინი; 17. კაა; 18. რინგი; 19. ატა; 20. თისა; 21. საფანტი; 22. ალი; 23. პო; 24. გირი; 25. ნო; 26. აფიშა; 27. სარკე; 28. ტეხასი; 29. ბარკაროლა; 30. სანტი; 31. ბრაილი; 32. ალფი; 33. რაფი; 34. „ნასა“; 35. პატიო; 36. ვო; 37. დრაივი; 38. აზიკი; 39. მარაო; 40. ჰავა; 41. მამა; 42. ბიანდრია; 43. ციტრა; 44. „შიკი“; 45. ფრაუ; 46. ლა; 47. ლობიო; 48. ქალმანი; 49. ბირმა; 50. იურმალა; 51. „ლადა“; 52. ბალისტიკა; 53. დემეტრა; 54. „ამელი“; 55. ტვინი; 56. გოია; 57. როსტომი; 58. ლი; 59. ნოე; 60. პანტელეიმონი; 61. რე; 62. კუ; 63. ბონი; 64. „ტვიში“; 65. ტომი; 66. ვიში; 67. „ვიატკა“; 68. პინიბალი; 69. შევა; 70. რუ; 71. ბალი; 72. „ლუკოლი“.

1. მფრინავი ჰამაკი; 2. სპორტის ფანატი; 3. საპროტესტო აქცია; 4. ჰავერის ბედი; 5. პირანია.

პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ.

შეადგინა რამაზ ალანიაძე














# ცხოვრებისეული კურიოზები

## ორიგინალური მობოდიშება




ჩვენთან, სუფსის ტერმინალის მშენებლობაზე, მძლოლად მუშაობდა მუხრან ახვლედიანი, წყნარი, შრომისმოყვარე კაცი. ოღონდ ერთი ნაკლი ჰქონდა — რომ დაღვედა, ვერ იძინებდა, მთელი ღამე დადიოდა და ლაპარაკობდა თავისთვის.

ერთხელაც დათვრა მუხრანი. იარა, ილაპარაკა მთელი ღამე თან „გაახსენდა“, რომ ცოლ-შვილი ძალიან მოეწონებოდა. მისი უბნის უფროსიც ჩვენს დასახლებაში ცხოვრობდა, მიადგა დილის 6 საათზე, გააღვიძა და სთხოვა, ორიოდ დღით შინ გამიშვიო. უფროსმა მაშინ არაფერი უთხრა, მაგრამ რომ გათენდა, დაიბარა კაბინეტში და ტყავი გააძრო.

მუხრანი ჯავრიან გულზე იმ საღამოსაც დათვრა და ახლა უკვე დილის 5 საათზე მიადგა უფროსს — მაპატიეთ, გუშინ დილით ადრე რომ გაგაღვიძეთო.

ირაკლი ქოიავა, ფოთი.

## შანი სიცილი მიღიხარო!



ქუთაისის „აიას“ ცნობილ რაგბისტს, ბათლომე სამაშურიძეს მეტსახელად ანტილოპას ეძახდნენ.

ერთხელ გუნდში ვიღაც ტიპი მოსულა და მწვრთნელისთვის უკითხავს, სად არის ბათლომე სამაშურიძე, კაზიოლს რო ეძახიანო (ანტილოპა ვერ გაუხსენებია)! გაუგონია ანტილოპას დაუპატივებელი სტუმრის ნათქვამი და რომ გამოჰკვიდებია, იმ საცოდავს ძლივს გაუსწრია გასახდელიდან.

ჯანო ონიანი, ქუთაისი

## ასეც ხდება!

ჩვენი რაიონის პოლიციის განყოფილების ერთ-ერთი თანამშრომელი (სახელსა და გვარს შეგნებულად არ ვასახელებ) მორიგეა. დარეკეს ტელეფონზე და უთხრეს:

— სასწრაფოდ მოდი თუ შეიძლება ამა და ამ მისამართზე, თორემ ჩემმა ქმარმა ჩვენ ოჯახის წევრებს ხომ გვეცმა, ახლა მეზობლებს დაერიო.

— კი ბატონო, ახლავ მოვდი.



ვარო, — ეს უთხრა, მაგრამ გვარიანად შეეშინდა და არსადაც არ წასულა.

ერთი საათის შემდეგ ისევ რეკავენ და იგივე პოლიციელი რომ დახვდათ ტელეფონთან, ეჩხუბნენ, რატომ დროულად არ გადიოდა შემთხვევის ადგილზე. ჩვენმა „გმირმა“ პოლიციელმაც არგუმენტირებული პასუხი გასცა:

— რა ვიცი, კაცო, ე რამოდენა ენერგია ჰქონია მაგას, რით ვერ დაილალო!

შალვა, თბილისი

## ანეხლიწად ქცეულა ყურიობი

ეს ამბავი ძველ, კარგ დროს მოხდა ცხინვალის ხეტყის კომბინატში, სადაც ერთი ჩემი ოსი მეგობარი გრიშა ბეკოვი მუშაობდა დირექტორად. ამის შესახებაც სწორედ გრიშამ მიაგმო.

ერთხელ, ხელფასებს არიგებს მოლარე, უწყისი, რა თქმა უნდა, რუსულადაა შევსებული. მაგიდასთან რიგია ყველა ასახელებს თავის გვარს და იღებს ხელფასს. დადგა ვალოდა ბესტაევის ჯერი (ჯავიდან ახალი ჩამოსული იყო ცხინვალში სამუშაოდ).



— რა გვარი ხართ? — ეკითხება მოლარე.  
 — იტოგო! — მთელი სერიოზულობით უპასუხა ბესტაევი.

თურმე, უწყისის ბოლოში, თვალი დაადგა დიდ ციფრს, რომელიც მუშების ხელფასების ჯამი იყო და ვალოდამაც შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა!..

ატყდა ერთი სიცილ-ხარხარი.

„ამბი ციელი“

# მკითხველის საყვარელი ანეხლიწი



მიხოს სკოლაში იბარებენ, შენმა ვანომ მანანა მასწავლებელს აწყენინაო.

— რათა, კაცო, რა უთხრა ეგეთიო, — გადირია მიხო.  
 — რა და, მანანა მასწავლებელი, ჩვენი ვენახის ბოლოში რომ კაკალი გვიდგას, იმის ძირში უნდა გაგორაო! — გაცეცხლებული ეუბნება დირექტორი.


მიხო გულზე ხელს იბრაგუნებს:

— უი, და-და-და! მართლა ეგრე უთხრა, კაცო? მე მგავს ეგ მამაძალი გაჭირლი ვაშლივითა!  
 — ეგრე უთხრა, მაშ! — დაუდასტურა დირექტორმა.  
 — შოდა, თუ ეგრე უთხრა, აუცილებლად აგორავებს, მაგაი წყალი არ გაუვა! — დაამშვიდა მიხომ დირექტორი.

ნიკოლოზ იოსებძე, თბილისი

გურული მიდენის თავის გამხდარ ღორებს შარაგზაზე შეხვდა ბიჭიკა და ეკითხება, სად მიდენი ძაო, ამ განხიკულ ღორებს?  
 — სად და პარლამენტში, ძაო, პარლამენტში! რა ვიცი, აი პარლამენტარები ისე გასუქდნენ, აღარ ეტყვიან ტელევიზორის ეკრანზე და იქნება ესენიც გასუქდნენ მომავალ კალანდობამდე!

გივი ლექვიანიძე, ოზურგეთის რაიონი, სოფელი კონჭკათი



მიხო ვენახიდან გვიან ბრუნდება და ცოლს აფრთხილებს.

— მე ახლა ტელევიზორ ჩავრთა და ცოტას წავუძინებ, ბოქსი რო დაიწყება, გამაღვიძე (კასიუს კლეისა და ჯო ფრეზერის ჩხუბს გადმოსცემდნენ). მიხოსთან ერთად მაროსაც გულიანად ჩაეძინა. დილაადრიან ტელევიზორის შიშინმა გააღვიძა მიხო და ცოლს მიეჭრა.

— აღარ იტყვი, ქალო, წუხელი კლეიმ რა ქნა?  
 — უი, მეხი კი დაგაყარე, კიტრით გეძინა და რას იზამდა! — შეუკვთა მარომ.

თამაზ ხელაძე, ვანი



ცოლი ეკითხება კურორტზე მიმავალ ჭიჭიკიას.  
 — რატომ არ გიკეთია საქორწინო ბეჭედი?  
 — ამ სიცხეში!

ვაჟა ჭყონია, ქუთაისი

— შვილებო, გაიგეთ? თურმე, რაც მეტ იმუშავეთ, მით უკეთესი ყოფილა, — „მოძღვრავს“ მიხო თავის წამოზრდილ ვაჟებს. — ბარვა და თონა კიდევა გული მუშაობასაც უხდება, სისხლი წნევასაც არეგულირებს და ყველაფრისთვის კარგაიო, გაზეთში წავიკითხე, მაშ!..  
 — შოდა, საშენო საქმე ყოფილა, მამი, აილე ე ახალი თოხი, ნადი და იმკურნალეი!.. — არ ჩამორჩა უფროსი ვაჟი.

ტატო ი., თბილისი



## ანეკდოტი ქართლს ქანსაჲს რეპერტუარიდან



— ჭიჭიკია, წუხელი რიონმა გამორიყა და მზრჩავალი კაცი და შენ მეგონე.  
 — რა ეცვა, ბიჭო!  
 — რა ეცვა და მწვანე პიჟამა!  
 — შოო... ის მე არ ვიყავი.

ბატონო მკითხველო, რედაქცია კურორტებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მზიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარაგებს, ფელეტონებს და იუმორისტულ კვლევებს, სადაც სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოავაჭევინებთ. მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.



დონარა ფანჯავიძის მოსაგონარი




ჩვენი კარგო დონარა! წელი უშენოდ დაირეკა...



ვახტანგ ტკვარაძის გახსენება 5 წელი გავიდა იმ ავად...

კიდევ და ყველას გასაკვირებლად, მკვდრებით აღდგებოდა ხოლმე...

გურამ ცერცვაძის სსოფნასი



2 ივლისი უკანასკნელად დაბნეულ... 3 ივლისს, ხუთშაბათს...

ბილი... სად გებუბო, ძამბა?! იმედითა ცვოცხლობ - იქნებ იქ, ზეცაში შეგხვდეს მენს ალალ სულს...

ნინო ცაიჭავაძის მონატრება



ერთი წელიწადი გავიდა, რაც ჩვენ გვერდით აღარ ვიკვირებ...

თბილისის მე-3 საშუალო სკოლის მემორიალური მონატრება

ნუგზარ გაბუნიასი დედის ცრემლები

ოჯახის დიდი ტრაგედია, დედის გაუეჭვებელი ტკივილი...



...მეც მალე მოვალ, ჩემო მოუშუშებელი ტკივილი, მანამ...

ხათუნა ჩერქეზიშვილის გახსენება

5 აგვისტოს 33 წელი შეგისრულდებოდა, ხათუნა. შეიძლება...

მორეულ მოგზაურობაში ხარ და სადაცაა, კარს შემოკედლები, ისევე შემოგვანათებს...

კოტე წერეთლის სსოფნასი



ჩვენი უსაზღვრო, დიდი ტკივილი და დარდი, თავზარდაცემები...

წახვედი აუხდენელი ოცნებებით და თან გაიყოლე უამრავი...

„თავმჯადალი, დიდი კაცი, გინათის ღვთის შუქურაში!“

გაი, ჩვენი დიდი კაცი, როგორ გავძვლები უფროა...

იური (გიორგი) კუტლიასი მონატრება



ერთი წელი გავიდა უშენოდ, გაუეჭვებელი ცრემლები...


სითბოს, სიყვარულის უანგაროდ გამცემი; თავად კი საოცრად მოკრძალებული, ანალიტიკური აზროვნების...

მზიურა კანანაძის სსოფნასი




ჩემო საყვარელი მეგობარი! ლამაზად, უმწიკვლოდ და ვაჟაკურად იცხოვრე...

ზაზა ფიქრიაშვილის



40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც წავიკის შავი ღრუბლებით გადაურა...

გია ბეგაშვილის სსოფნასი



4 აგვისტო შენი დაბადების დღეა, რომელსაც ოჯახი და ნათესავებ...

ხათუნა ღონდუა

ის საოცარი ფეხით ენია, რამდენიმე თაობას რომ გასწვდებოდა...

რომ იგი ყველას თვალწინ გაიზარდა

მამის, ცნობილ ტელეჟურნალისტს - ენრიკო ღონდუას...



— შენოგა დანაღული, სასწრაფოდ უნდა დაიხალოს, მხოლოდ ერთი დღეში უნდა დაჩქარდეს...

ხათუნა ღონდუა ტელევიზიაში უკვე პოპულარული მოხდა...

მშვენიერი გარეგნობისა და ნიჭის გამო, ის ყველა ინტელექტუალურ კონფერენციაში მონაწილეობდა...

ოლიმპიადებში საუკეთესო თემებით იმარჯვებდა, თითქმის ყველა ინტელექტუალურ კონფერენციაში მონაწილეობდა...

ნათელში ამყოფოს შენი სული უფალმა!






გეორგიის სახლის ახალი თავსაზი

ლი 32 წლის უმუშევარი ახალგაზრდა, ვინეი ჯერი ფლანდერსია.

მსოფლიოს ყველაზე პრესა ახალი სკანდალის დეტალებს ინტენსიურად აშუქებს: გენელოგიის პროფესორი, ნაიჯელ უინსტლოუ მზად არის დაამტკიცოს, რომ ელისაბედ II-ს ტახტზე ყოფნის უფლება არა აქვს.

ოვალური კაბინების „მორხანები“

ამერიკელმა რეპორტიორებმა ერთი ინფორმაცია გაავრცელეს — თეთრი სახლის პრეზიდენტი ქალიშვილი პრეზიდენტის ცდუნებას ცდილობდაო. როგორც ამბობენ, პრეზიდენტის ბუშს დემოკრატებმა „შუგადეს“ იმ იმედით, იქნებ ნინამორბედის ისტორია გაიმეორებინათ.



ნუ ზუიქი

მირონი



ბებოს ალმასი

ბევრ ქვეყანაში მიცვალებულს წვავენ. 3000°C-ზე კრემაციის შემდეგ ფერფლი სუფთავდება. გაცხელების შემდეგ ნაზირიწყლისგან ფორმირდება ალმასი.

მწარმოებელი აღნიშნავს: — ჩვენი ალმასები არის ერთადერთი საშუალება, მარად გვერდით გაყავდეთ თქვენი უახლოესი ადამიანი.

ოგონიოკი


ოლიმპიადის თილისგა პირთსება დაბურდუნ

ოლიმპიადამ ჩაიარა თუ არა, 1980 წლის შემოდგომაზე, საბჭოთა მთავრობას გვრ-დან ერთმა სოლიდურმა ფირმამ დიდი ანაზღაურების ფასად ოლიმპიადის სიმბოლოს, დათურა (მიშკას) შესყიდვა შესთავაზა.

ცოტა ხნით ერის სიახაყე გამოფენის ერთ-ერთ პავილიონში მოათავსეს, შემდეგ დიდი ხნით (ასე ეგონათ), როგორც ღირსშესანიშნაობა, ოლიმპიური კომიტეტის სარდაფში ჩაიტანეს, ამას უფრო დამარხვა ჰქვია.

ჰოდა, მღრღნელებმა არ დააყოვნეს, მიადგნენ და რომ იტყვიან, მიშკასგან ცარიელი ადგილი დატოვეს. მიერთვეს, თანაც სულაც უკაპიკოდ. ასეთი ბევრი „რეკორდი“ დამყარდა მაშინდელ წლებში.

ნოვაია გაზეტა



ქერალ „კარუსელის“ საფიგო კოსტოპო „კვირის პალიცისთვის“



შეცვლის წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხების შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებული უჯრეტებში სტინდალის სიტყვებს ამოიკითხავთ.

Word search grid with 10 rows and 24 columns.

ბ. სევეანის ტბის მეორეხარის სახელწოდება; ა. სასამოვნო სუნი, კეთილსურნელება; ე. უძველესი ქართული სახელმწიფო; რ. ტბა აფხაზეთში; თ. მცენარე, რომლის მერქნისგანაც აზღაფებენ ჩიჩილას;

ელწოდება; დ. ქალის ძვირფასი, საშუალებე გვირგვინი; ე. სამცხის მმართველთა ტიტული; თ. მონასტრის წინამძღვარი; ს. ტყუილი; პ. იტალიელი ფეხბურთელი; ი. ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; ლ. რა ერქვა სემის, ქამისა და იაფეტის მამას; ა. „დათუნის“ ერგო ერთი ქება...; ბ. ქართველი რეჟისორი და მსახიობი; ვ. მალტის დედაქალაქი; ც. თავის დაჭერისა და თავაზიანი მოპყრობის წესები, რაც მიღებულია რომელიმე საზოგადოებაში; წ. დინამიტის გამოგონებელი; თ. ერთდროულად მცხოვრები დაახლოებით ერთი და იმავე ასაკის ადამიანები;

აჭვიანი გოჭი

უცნაური სასიყვარულო სამკუთხედი შეიქმნა ავსტრიის ერთ პატარა ქალაქში. ქალმა მორიგი საყვარელი გაიჩინა, რამაც სასტიკად ალაშქოთა მისი რჩეული გოჭი!

მეგაპოლის-ეკსპრესი №27



კანონიერი სხანი

ატაციასაც. გარდა ამისა, ყოველწლიური შემომწება უნდა გაიარონ ცხენების ფურგონებმა. მათ სარეგისტრაციო ნომრებიც დაურიდებთ.

რომ-დე-ჟანეროში ძალაში შევიდა ცხენების შრომის კანონი. დოკუმენტის თანახმად, გამწვევი ცხენის საშუალო დღე 8 საათს არ უნდა აღემატებოდეს, ამასთან, აუცილებელია შუადღის შესვენება. შესაბამისად, საშუალო კვირა 48-საათიანი უნდა იყოს. კვირა უქმედდება გამოცხადებული კანონი კრძალავს ავადმყოფი და მძვე ცხენების „ეკსპლუატაციას“.

გოკრუგ სვება №26

თიჩქალით გული დაიკყო

30 წლის რუმინელი დიანა მოლდოვანი ცოლად პატიმარს გაჰყვა. ღირსი ვიდინანს სამშლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი ქურდობისთვის.



ოკნა №28

კოლოს სანიდალუაგო გელაფონი

სამხრეთკორეულ მობილური ტელეფონების მფლობელებს ამიერიდან მოსკიტების შიში აღარ უნდა ჰქონდეთ — სისხლისმსებლების დასაფრთხობად საკმარისია მობილური ტელეფონებზე ხმოვანი სიგნალები ჩართონ.

მორ ნოვოსტი №27

ჯონან როულინგს ქერლოგას აზრალეპენ



მანქანაწერი ფოსტალიონი ჰარი პოტერი ცნობილ მწერალს, ჯონან როულინგს 10 მლნ გირვანქა სტერლინგს სთხოვს. როგორც 43 წლის პოტერი ამბობს, თავისი პროფესიიდან გამომდინარე, მან აქტიური მონაწილეობა მიიღო პირველი 4 ნიგნის გაერვებებაში.

როულინგის ადვოკატები აცხადებენ, პოტერის გასაჭირს მწერალთან კავშირი არ აქვსო, თუმცა არ გამოირიცხავენ, რომ გულანუყვებულის სასამართლო როულინგს პოტერისთვის რამდენიმე მილიონის გადახდას დააკისრებს — საუკეთესო ადვოკატებიც ვერ დაამტკიცებს, რომ როულინგს განგებ არ დაურქმევია თავისი გმირისთვის ფოსტალიონის გვარ-სახელი.

ტაიმი

„ხივად მოხაკრული კალი“

გერმანელი მკითხველები შემოფოთებულნი არიან — ახლახან გამოსული კულინარიული ნიგნი „ცივად მოხაკრული კალი“ სულ ძაღლის ხორცის კერძებით არის შედგენილი.



ოკნა №27

Advertisement for 'მონა ნომიკი' featuring a crossword puzzle and promotional text.









### უოგოგანეყოკა



— ჩვენ გავართ სამშვიდობოს...

### აკაიღენის საგარეო ნიგნი



სტრეიზანდი, ვუპი გოლდბერგი და მოჰამედ ალი, რომლებმაც მეგობარს გაანდეს თავიანთი საყვარელი კერძების რეცეპტები. წიგნი თავმოყრილია 250 რეცეპტზე მეტი და ის ძალიან მალე გამოქვეყნდება.

რა თქმა უნდა, მონიკა ლევისის რეცეპტს წიგნი ვერ იპოვით...

5/VIII

#### პირველი მეოთხედი

მაგნიტური დღეებია 4/VIII 22-დან 24 საათამდე 7/VIII 20-დან 22 საათამდე 10/VIII 11-დან 13 საათამდე

#### წინა მოკის

#### კარსკოკის პანსუკი




ექსპრეზიდენტმა ბილ კლინტონმა, თეთრი სახლის მიტოვების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს თავისი დიდი ხნის ოცნება აიხდინა — შეადგინა კულინარიული წიგნი. რა თქმა უნდა, ამაში დაეხმარა მეუღლე ჰილარი და მეგობრები: ელიზაბეტ ტილორი, ბარბარა

სუვის იდეოლოგიურ განყოფილებაში შიშისგან თვალგაფართოებული კაცი შეიჭრა: — აქ ჩემი თუთიყუში ხომ არ მოფრენილა?

— არა, რა-შია საქმე?

— თუ მოფრინდება და ლაპარაკს დაიწყებს, იცოდეთ: — ებ ჩემი აზრი კი არა, პირადად მისი აზრია.



თარზულად: 1. ლეილა აბაშიძის დაუფინყარი პერსონაჟი; 4. სადილის ან ჩაის ჭურჭლის სრული კომპლექტი გარკვეული რაოდენობის ადამიანებისთვის; 6. ეპიდემიის ქვეშ მოთავსებული კანის ნაწილი; 7. მდინარე, რომლის სახელწოდებაც გერმანიიდან ითარგმნება, როგორც „სუფთა“; 8. მამათა დიდი მონასტრის სახელწოდება; 9. რვა შემსრულებლისგან შემდგარი ანსამბლი; 12. ნაწარმოები, რომელიც გოეთესა და გუტოს აერთიანებს; 15. ოსკაროსანი თოჯინა; 17. მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე გადასხმული ჯარის ნაწილი; 18. განსაზღვრული მდგომარეობა ანერთაშორისო სამართალში; 19. არტურ ჰეილის რომანი; 21. ანტიკურ მსოფლიოში ბუნების ოთხი ძირითადი ელემენტიდან ერთ-ერთი; 22. გრძელგვნიანი მონადირე ძაღლის ჯიშის სახელი; 26. სამი და ოთხნობიანი ცხენების დოლი; 27. ქართული, თეთრყურძინანი ვაზის ჯიშის; 28. კაუსტიკური სოდა, იგივეა, რაც მწვანე... 9. ამომავალი მზის ქვეყანა; 30. დამხმარე ოთახი ბინაში.

შეფულად: 1. პერსონაჟი ფილმისა „ლონდრე“; 2. უმაღლესი სამხედრო-საზღვაო ჩინი; 3. რა შეარქვა ხალხმა გიორგი V-ს; 4. კვირა დღისთვის განკუთვნილი გაზეთის ნომერი ან ტელეგადაცემა; 5. პარლამენტარის ხელშეუხებლობა; 10. კითხვარი გონებრივი განვითარების გამოსავლენად; 11. ტილოს ჩარდახი მზისა და წვიმისგან თავის დასაცავად; 13. დაბალი დიპლომატიური რანგი; 14. ორი ზღვის შემაერთებელი წყლის ვიწრო სივრცე; 15. ... არაგვისპირელი; ... მღვიმელი; 16. ფრანგული სუნამოების მაღაზია „... პარი“; 20. კომპოზიციის შემცველი სისხლის ნითელი ბურთულა; 21. თავის ქალის ნაწილი შუბლსა და ყურს შორის; 23. ნარმოქმის მანერა, რომელიც მთქმელის გრძნობებს გამოხატავს; 24. მედას სახელობის მეცნიერება; 25. მიწების ხელოვნური რწყვის ღონისძიებათა სისტემა.

შეადგინა რამაზ ალანაძე



### „ყველაზე დიდი გვირგვინი მიყენება ძალს შეუძლია“

პოლიგუდის მთავარმა კომიკოსმა ჯიმ კერიმ გერმანულ ჟურნალ „გალასთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღიარა, რომ ძალიან ეშინია ქალების. „არაფერს მოაქვს იმდენი ტკივილი და უსიამოვნება, რამდენიც ქალებს. მამაკაცებს საშინლად გვიკლავს გულს გაუთავებელი კონფლიქტები, გაუგებრობები, განშორების სიმწარე“. თურმე, ჯიმს კატეგორიულად არ უნდა მესამედ დაქორწინება. მეტიც, საერთოდ აღარ სურს სუსტი სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობა. მართალია, სიყვარულის გრძნობა ჯერ არ დაუკარგავს, მაგრამ შეწყვიტა იდეალური ქალის ძებნა. მსახიობის ბოლო სერიოზული რომანი პოლიგუდის ვარსკვლავს — რენე ზელვეგერს უკავშირდება, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული მსახიობი გახდა მასთან განშორების შემდეგ. ეტყობა, სწორედ ეს ფაქტი უშლის ნერვებს ჯიმ კერის...

შურადღება: „ქვირის პალიტრა“ (გაზეთის) საფოსტო (საკომუნიკაციო) მთავარ საავტორო უფლება დატულიან კანონით

**31** უფასო განცხადების ჟიურის

განცხადების ტექსტი

სიტყვა და სახელი

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№31 თბილისში ჟიურის „ქვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 7 აგვისტოს (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„ქვირის პალიტრის“ და „სიტყვა და სახელი“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარაი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედიე, აბაშა, სენაკი, ხოვი, ზუგდიდი, ფოთი, ქოპულატი, გათუში, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, გაღვინა, ხონი, განაბი, თარჯოლა, ტყიპული, აბაგოლაური, ონი, გორჯოში, ახალციხე, რუსთავი, საბარაქო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარალი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

„ქვირის პალიტრის“ და „სიტყვა და სახელი“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

გაზეთი დაბეჭდილია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ეთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აძებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

მთავარი რედაქტორი ლეონ ბუნიაშვილი  
მთავარი რედაქტორის მოადგილე ნუბარ დუშაბაძე, გიორგი თევდორაშვილი  
სარედაქციო კომპლექსი

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სახალის უკან)  
რედაქცია: 33-39-54  
ტელ.: რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44  
palitra@access.sanet.ge  
www.opentext.ge/kvirispalitra  
სარედაქციო ნომერი 1518  
„ქვირის პალიტრა“  
გამომცემი ორგანიზაციის  
გაზეთი დაბეჭდა  
გამომცემლობა „კოლორში“.